

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF
FREEDOM OF INFORMATION



ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

საქართველოს პარლამენტისთვის საკანონმდებლო
წინადადებისა და საკანონმდებლო ინიციატივის
ელექტრონული სახით წარდგენის და მოქალაქეთა
მხრიდან მხარდაჭერის მექანიზმის დანერგვა
პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით
(ვალდებულება 1.2.)

(კონცეფცია)

მარტი, 2016 წ.



ზოგადი ნაწილი

2015 წლის 17 ივლისს საქართველოს პარლამენტის ბიურომ დაამტკიცა საქართველოს ინტერ-ფრაქციული ჯგუფისა და სამოქალაქო საზოგადოების სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა (2015-2016).

საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა 18 ვალდებულებებისგან შედგება და პასუხობს ღია მმართველობის პარტნიორობის (Open Government Partnership, OGP) ოთხ ძირითად გამოწვევას: მოქალაქეთა ჩართულობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ანგარიშვალდებულება, ინოვაცია და ტექნოლოგიები.

საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის 1.2. ვალდებულება - საქართველოს პარლამენტისთვის საკანონმდებლო წინადადებისა და საკანონმდებლო ინიციატივის ელექტრონული სახით წარდგენის და მოქალაქეთა მხრიდან მხარდაჭერის მექანიზმის დანერგვა პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით - პასუხობს OGP-ის საჯარო მომსახურების გაუმჯობესების გამოწვევას.

სამოქმედო გეგმის თანახმად, საქართველოს პარლამენტმა 2016 წლის თებერვლის ბოლომდე უნდა შეიმუშაოს საქართველოს პარლამენტისთვის საკანონმდებლო წინადადების/ ინიციატივის ელექტრონული სახით წარდგენის და მოქალაქეთა მხრიდან მხარდაჭერის მექანიზმის ვებგვერდზე დანერგვის კონცეფცია.

ვალდებულების საბოლოო ამოცანაა ისეთი პლატფორმის შექმნა, სადაც შესაძლებელი იქნება როგორც საკანონმდებლო წინადადებებისა და ინიციატივების განთავსება, ისე მოქალაქეთა მხრიდან აღნიშნული წინადადებებისა და ინიციატივების მხარდაჭერა.

საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის თანახმად:

საკანონმდებლო წინადადების შემთხვევაში - პარლამენტში რეგისტრირებული ყველა წინადადება ავტომატურად განთავსდება პარლამენტის ვებგვერდზე და მოქალაქეებს ექნებათ შესაძლებლობა, ელექტრონული ხელმოწერით შეუერთდნენ ამა თუ იმ წინადადებას. ამავე დროს, აქვე განთავსდება ყველა ის დოკუმენტი, რაც შეიქმნება ამ წინადადების განხილვის პროცესში.

საკანონმდებლო ინიციატივის შემთხვევაში - საინიციატივო ჯგუფებს, ერთი მხრივ, მიეცეთ შესაძლებლობა, წინასწარ დადგენილი პროცედურის შესაბამისად განათავსონ ინფორმაცია საკანონმდებლო ინიციატივის შესახებ საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე და, მეორე მხრივ, ელექტრონული ხელმოწერით შეუერთდნენ ამ ინიციატივას, ხოლო 30,000 ელექტრონული ხელმოწერის შეგროვების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დაიწყება შესაბამისი განხილვის პროცედურები.



საერთაშორისო პრაქტიკა

„ღია მმართველობის გზამკვლევი“ საკანონმდებლო წინადადებებისა და საკანონმდებლო ინიციატივების მხარდაჭერის საკითხს მეორე და მესამე საფეხურის სარეკომენდაციო ვალდებულებებში ითვალისწინებს. კერძოდ, მეორე საფეხურის სარეკომენდაციო ვალდებულება არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა მათი პარლამენტის საქმიანობაში ჩართულობის გაძლიერების მიზნით. აღნიშნული ვალდებულების განსახორციელებლად ღია მმართველობის გზამკვლევი ითვალისწინებს ისეთ რეკომენდაციას, როგორცაა ახალი ოპერაციული მოდელების ინტეგრირება დაინტერესებულ ჯგუფებთან კომუნიკაციის უზრუნველყოფისთვის.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მოქალაქეებმა სხვადასხვა ინოვაციური საშუალებები (მაგალითად, ინტერნეტ აპლიკაციები) შეიმუშავეს იმისათვის, რომ ინფორმაცია პარლამენტისა და მთავრობის საქმიანობის შესახებ უფრო მარტივად აღქმადი და გამოყენებადი გამხდარიყო. საპარლამენტო საქმიანობის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა ხელს შეუწყობს საკანონმდებლო საქმიანობაში მოქალაქეთა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის გაზრდას. „ღია მმართველობის გზამკვლევი“ აღნიშნულია, რომ ახალი ტექნოლოგიების დახმარებით, მოქალაქეებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია კერძო კომპანიების მიერ შეტანილი საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ და მოახდინონ საკანონმდებლო პროცესის ვიზუალიზაცია.¹

ღია მმართველობის გზამკვლევის დასახელებული სარეკომენდაციო ვალდებულების პრაქტიკაში განხორციელების თვალსაზრისით საინტერესოა **(1) ლატვიის გამოცდილება**. www.manabalss.lv² სამოქალაქო საზოგადოების მიერ შექმნილი ლატვიური ვებგვერდია, რომელიც მოქალაქეებს კანონპროექტის საკანონმდებლო ორგანოში წარდგენის საშუალებას აძლევს. კანონპროექტი პარლამენტის მიერ განიხილება იმ შემთხვევაში, თუ მის პარლამენტში წარდგენას მინიმუმ 10,000 მოქალაქე უჭერს მხარს.³

¹ ღია მმართველობის გზამკვლევი, გვ. 228,

<http://opengovguide.theideabureau.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2013/09/all-topics.pdf>.

² Social Initiative Platform, <https://manabalss.lv/>.

³ იქვე.





Create a new initiative

View all initiatives

Meklēt

Come ManaBalss.lv



MPS TO REDUCTION ON THE 50TH

By signing on amendments to the Latvian Constitution in Article 5 of the amendment tekstu "The Saeima consists of fifty representatives of the people. "Will be obtained in addition to the funds, the Saeima deputies will be more functional and increase a sense of responsibility.




FOR FREE FOOD KINDERGARTEN!

We want to reach out to all Latvian nursery is provided with free drink from 1 September 2016, the covering of the increased excise tax to certain groups of goods.



ABOUT LATVIA, GMO FREE !!

Will preserve their land and children! Now for the cultivation of GMOs in Latvian municipalities and decide themselves GMO producers, and many do not know anything about it. We require urgently pass a law that strictly regulate GMO cultivation and marketing of Latvia!



იმისათვის, რომ მოქალაქემ დაარეგისტროს საკანონმდებლო წინადადება (და/ან ინიციატივა), საჭიროა დასახელებულ ვებგვერდზე გააგზავნოს საკუთარი წინადადება, სადაც კარგად უნდა იყოს აღწერილი: 1. წინადადების შინაარსი, 2. ამ წინადადების შესაბამისად განსახორციელებელი ცვლილება, 3. რატომ უნდა განხორციელდეს წინადადება.

მოქალაქის მიერ წინადადების გაგზავნიდან 24 საათის განმავლობაში მას უკავშირდება ვებგვერდის ექსპერტთა ჯგუფი წინადადებაში შესატანი ცვლილებების შეთავაზებით. ცვლილებების შეტანის შემდეგ წინადადების ავტორმა დამოუკიდებლად უნდა შეაგროვოს წინადადების მხარდამჭერი 100 ხელმოწერა სოციალური ქსელების მეშვეობით, რომლის მიზანია გაირკვეს, ჰყავს თუ არა წინადადებას მხარდამჭერები.

100 ხელმოწერის შეგროვების შემდეგ, ვებგვერდის ექსპერტები განიხილავენ, არის თუ არა წინადადების განხორციელება ფიზიკურად შესაძლებელი და ეწინააღმდეგება თუ არა ის კანონმდებლობას, კონსტიტუციას და ადამიანის უფლებებს. მნიშვნელოვანია, რომ წინადადება არ იყოს მიმართული რომელიმე კონკრეტული პიროვნების, იდეის ან ღონისძიების წინააღმდეგ. იგი წარდგენილი უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე.

⁴ <https://manabalss.lv/initiatives/featured>.



ამის შემდეგ წინადადება დაიდება ვებგვერდზე და დაიწყება ხელმოწერების შეგროვება. ვებგვერდზე ხელმოწერების შეგროვება არ არის დროში შეზღუდული. ვებგვერდზე აღწერილი იქნება დოკუმენტის მოკლე შინაარსი და თანდართული იქნება მისი სრული ტექსტი. დოკუმენტის ქვემოთ მითითებულია მასთან დაკავშირებული ხელმომწერები, სიახლეები და ეტაპები. 10,000 ხელმოწერის შეგროვების შემდეგ წინადადება იგზავნება უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. პლატფორმის მეშვეობით წინადადებების დარეგისტრირების და მხარდაჭერის უფლება აქვს ლატვიის 16 წლის ასაკს მიღწეულ ყველა მოქალაქეს.


ელექტრონული ხელმოწერის დროს აუცილებელია პიროვნების იდენტიფიცირება, რაც ხორციელდება ინტერნეტ-ბანკის მეშვეობით. ინტერნეტ-ბანკის მეშვეობით ხელმისაწვდომია მხოლოდ ხელმომწერი პირის სახელი და გვარი და მითითებულია ხელმოწერის დრო, როდესაც კონკრეტული პირი შეუერთდა წინადადებას.

ქვემოთ შეგიძლიათ იხილოთ ერთ-ერთი წინადადების მოკლე აღწერილობა და ინფორმაცია მასთან დაკავშირებული სიახლეებისა და განხილვის ეტაპების შესახებ. წინადადების მიზანი იყო, რომ ლატვიის პარლამენტისთვის სავალდებულო ყოფილიყო 10,000 ხელმოწერის შეგროვების შემთხვევაში წინადადების განხილვა.


საკანონმდებლო წინადადების აღწერილობა, სრული დოკუმენტის ზმული და ხელმომწერები

https://manabalss.lv/atveram-saeimu-/show

LATVIAN PYSODS


Create a new initiative
View all initiatives
Meklēt
Come ManaBalss.lv

The law has been adopted!



WHEN YOU OPEN THE SAEIMA!
Initiative will be submitted to the Latvian Saeima of the Republic

SIGN 12'204

ALREADY SIGNED 12'204 HELP COLLECT MORE

We want the public to be given new opportunities to participate in parliamentary work.


We want to be accepted amendments by the Saeima, to ensure that collecting 10,000 signatures on the Internet, public initiative into the pending parliamentary agenda.

Such an option would allow Latvian citizens would allow much easier, more convenient, faster to organize and express their ideas, desires, needs, thereby affecting the parliamentary agenda as well as to raise awareness of the work of the Saeima, to promote parliamentary work civil monitoring of the development of civic participation skills, as well as allowing elected representatives of the people to know about large groups of the population of the big issues.

AGENT : MANABALSS.LV
CREATED : JUN 08 (2011)

Added document
1307534285HNRnU3.pdf az ka (open)

SIGN TELL ME ABOUT THE INITIATIVE <https://manabalss.lv/i/22>



The video also friends:


ManaBalss.lv good news - your e-mail!

We have a lot of good news - we want them to tell you! Enter your e-mail, and every month we send them to you.

E-mail address *

Sign In

Initiative, signatories 12'204



What is ManaBalss.lv?

Portal ManaBalss.lv public initiative platform where anyone 16 years of age reached a Latvian citizen may propose initiatives and to sign the Latvian building better! Each initiative signed by at least 10 000 citizens, will go to the Parliament, and then - on the agenda of decision makers. Online identity of each voter approves Latvian registered online banking. In this way, we ensure that the signatures after the Saeima demand can be assessed and compared with the population register. After successful authentication, Internet bank sends the person's name, surname and identity number on ManaBalss.lv where personal data is stored in a protected database and a person can take one vote for each initiative. For security protection of the building process, no data accessible.

პიროვნების იდენტიფიცირების მიზნით ინტერნეტ-
ბანკის მეშვეობით ხელმოწერის შესაძლებლობა

The screenshot shows the ManaBalss.lv website interface. A central modal window titled "ATVERAM SAEIMU!" (Opening the Parliament) prompts the user to "Lūdzu, izvēlies savu internetbanku, lai parakstītos:" (Please, choose your internet bank to sign). The modal offers six options: Swedbank, Nordea, Citadele, SEB, DNB, and Draugiem ID. The background website content includes a navigation bar, a sidebar with "Atbalsti ManaBalss.lv" (Support ManaBalss.lv), and a main content area with news articles and a "Tavā e-pastā" (In your e-mail) section.



საკანონმდებლო წინადადებასთან დაკავშირებული სიახლეები

<https://manabalss.lv/atveram-saeimu-/show>

manabalss.lv Create a new initiative View all initiatives Meklēt Come to ManaBalss.lv

Initiative, signatories 12204



Show parents signatures -

Portal ManaBalss.lv public initiative platform where anyone 16 years of age reached a Latvian citizen may propose initiatives and to sign the Latvian building better! Each initiative signed by at least 10 000 citizens, will go to the Parliament, and then - on the agenda of decision makers. Online identity of each voter approves Latvian registered online banking. In this way, we ensure that the signatures after the Saeima demand can be assessed and compared with the population register. After successful authentication, Internet bank sends the person's name, surname and identity number on ManaBalss.lv where personal data is stored in a protected database and a person can take one vote for each initiative. For security protection of the banking system, on data protection responsibility uzņemamiem we. Publicly available only in name. Also signed by you about some of the initiatives to help it more quickly get to the decision-makers on deaf ears!

initiatives news

Good news - Saeima Legal Affairs Committee yesterday voted in favor of the Saeima Opening the third reading of the 5000 signatures and the opportunity to participate from 16 years. age 12th January (2012)

Great news - people will be able to sign and encourage initiatives already 16 years of age, and citizens already 5'000 signatures ideas will Saeima. This is a great all ManaBalss.lv users, as well as volunteer lawyers and policy experts achievement. Now kept the thumb of this Act 3. reading of the Parliament! Open parliament :)

AUTHOR: CHRISTOPH BLAU

Good news - Members supported the Saeima Opening in second reading !! 27th December (2011)

Last week members of the Saeima supported the opening, in addition, by reducing the required number of signatures 2 times - from 10000 to 5000 - great news! Let us keep our fingers crossed for the final third reading to the Saeima is successfully opened. With this step will become one of the most open democracies across Europe.

manabalss.lv Create a new initiative View all initiatives Meklēt

Good news - Members supported the Saeima Opening in second reading !! 27th December (2011)

Last week members of the Saeima supported the opening, in addition, by reducing the required number of signatures 2 times - from 10000 to 5000 - great news! Let us keep our fingers crossed for the final third reading to the Saeima is successfully opened. With this step will become one of the most open democracies across Europe.

AUTHOR: CHRISTOPH BLAU

Lawyers completed their studies - as a successful Open Saeima popular ideas! 11th Oct (2011)

A month ago, the lawyers of a number of state institutions and ManaBalss.lv resorted present at the opening of the Saeima. During the month, we conducted an extensive analysis of the best ways to open our parliament popular ideas. This week, experts have started working the next round - the bill details and complete the development of the offer of 11 Saeima. ManaBalss.lv constantly keeps track of a complex process and will continue to report on the news!

AUTHOR: CHRISTOPH BLAU

President's office and lawyers involved in the Saeima 'parliamentary opening'! 25th August (2011)

Office of the President and the Saeima best lawyers engaged in "the opening of the Saeima". For updates to email you in early September!

AUTHOR: LAURA ZVEJENCE

This morning, The Legal Affairs Committee decided to push on "parliamentary Opening"! 16th August (2011)

The deputies decided to push a bill on "the Saeima Opening" and gave the task to prepare a draft law ManaBalss.lv improvements.

AUTHOR: LAURA ZVEJENCE

manabalss.lv Create a new initiative View all initiatives Meklēt

Three weeks have been jointly parliament! 01th Jul (2011)

Initiative 3 weeks come to the Parliament, it was supported by 36 MPs, it signed almost 10 000 people, will continue to vote!

AUTHOR: LAURA ZVEJENCE

On Friday, members of the Saeima vote for the opening! Yet collected 900 signatures - go !! 28th Jun (2011)

The Saeima already this Friday at an extraordinary meeting will vote on the initiative, which will allow people to influence policy more often than once every 4 years! We can!

AUTHOR: CHRISTOPH BLAU

Two parliamentary factions already support this initiative and encourage the view Saeima 20th Jun (2011)

Unity already submitted to the Parliament the bills the VL-TB / LNNK support this initiative. We invite you to refer to the other faction!

AUTHOR: CHRISTOPH BLAU

We begin to change! 08th Jun (2011)

The first initiative has successfully discovered and already in the first minutes there is a large public activity. Here we go!

AUTHOR: CHRISTOPH BLAU

„ღია მმართველობის გზამკვლევის“ მესამე საფეხურის სარეკომენდაციო ვალდებულებას ციფრული პლატფორმების შემუშავება პარლამენტში მოქალაქეების ჩართულობის გასაძლიერებლად. ვალდებულების შესასრულებლად, ღია მმართველობის გზამკვლევი სხვა რეკომენდაციებთან ერთად ითვალისწინებს ელ-პეტიციების ვებგვერდის შექმნას, სადაც მოქალაქეებს შეუძლიათ წარადგინონ ინიციატივა კანონპროექტთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირონ სხვა ინიციატივებს. იმ შემთხვევაში, თუ ინიციატივას მხარს დაუჭერს მოქალაქეთა წინასწარ განსაზღვრული რაოდენობა, კანონპროექტს პარლამენტი განიხილავს.⁵

ამ თვალსაზრისით საინტერესოა **(2) ფინეთის გამოცდილება**. „ღია სამინისტრო“ სამოქალაქო საზოგადოების ელექტრონული პეტიციის პლატფორმას, რომელიც მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს წარადგინონ კანონპროექტი ფინეთის პარლამენტში. ნებისმიერი საკანონმდებლო ინიციატივა, რომელსაც შეუერთდება არანაკლებ 50,000 მოქალაქე, ავტომატურად განიხილება პარლამენტის მიერ. მაგალითად, 50,000 ხელმოწერა დააგროვა ისეთმა საკითხებმა, როგორებიცაა საავტორო უფლებების რეგულაციები, ფინელი სტუდენტებისთვის შვედური ენის არასავალდებულო საგნად ჩათვლა და სხვა.⁶

„ღია სამინისტრო“ საკანონმდებლო ინიციატივის ჩამოყალიბების რამდენიმე საფეხურს გამოყოფს. პირველი და მეორე ეტაპი არის იდეის ჩამოყალიბების და საკანონმდებლო ინიციატივის სამუშაო დოკუმენტად მომზადების ეტაპები.⁷ მესამე საფეხურიდან იწყება საკანონმდებლო ინიციატივის უკვე დამუშავებულ ვერსიაზე ხელმოწერების შეგროვების პროცესი. შესაძლებელია როგორც ქაღალდის ვერსიის, ისე ელექტრონული ხელმოწერების შეგროვება. ელექტრონული ხელმოწერების იდენტიფიცირება ხდება საბანკო სისტემის ან მობილური ტელეფონების მეშვეობით. ელექტრონული ხელმოწერების შეგროვება შესაძლებელია ინიციატივის ვებგვერდზე განთავსებიდან 6 თვის განმავლობაში. მას შემდეგ, რაც ხელმოწერების რაოდენობა შეადგენს 50,000, საკანონმდებლო ინიციატივა იგზავნება ფინეთის პარლამენტში კომიტეტის მიერ განსახილველად. საკომიტეტო მოსმენების შემდეგ კანონპროექტი იგზავნება პლენარულ სესიაზე.

⁵ ღია მმართველობის გზამკვლევი, გვ. 233,

<http://opengovguide.theideabureau.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2013/09/all-topics.pdf>.

⁶ Open Ministry-Crowdsourcing Legislation, <http://openministry.info/>.

⁷ <http://www.avoinministerio.fi/artikkelit/miten-palvelu-toimii>.



„ღია სამინისტროს“ პლატფორმა, სადაც
აღწერილია ვებგვერდის ძირითადი
ფუნქციები

openministry.info/finnish-citizens-initiative

Open Ministry - Crowdsourcing Legislation

The Finnish Citizens' Initiative


Finland has adopted a national citizens initiative law on March 1st 2012, just one month before the EU Citizens' Initiative.

This is the Google translated version of the [Finnish Citizens Initiative Act](#).

The basic points are:

- No pre-registration requirement
- 50,000 electronic and/or paper signatures
- 6 months for collecting them
- Can be both agenda and law proposal initiatives

Leave a comment if you have any questions!



The Open Ministry (Avoin ministeriö) is about crowdsourcing legislation, deliberative and participatory democracy and citizens initiatives. It is a non-profit organization based in Helsinki, Finland.

We help citizens and NGO's with national citizens' initiatives, EU citizens initiatives and develop the online services for collaborating, sharing and signing the initiatives.

Our (Finnish language) platform is at <http://avoiministerio.fi>.

[The Finnish Citizens' Initiative](#)

[The European Citizens Initiative in Finland](#)

[Contact Us](#)

[Search](#)

My blog All of Tumblr

საკანონმდებლო წინადადებების
განსახილველად ხელმოწერების
შეგროვება

www.avoinministerio.fi

Wind turbines save the world?

SHARE YOUR KNOWLEDGE

Viestintäviraston
Avuksymä

LIST ALL

FAQ

LEGISLATIVE PROPOSALS FOR ACTION AND (7)

The referendum mild
alcoholic beverages sales
release »

The collection ended
15.10.2012 - 04.15.2013

1755/50000

The bill to ban
turkistarhaamisen »

The collection ended
14.05.2012 - 11.14.2012

68081/50000

Direct democracy »

The collection ended
01.03.2012 - 31.08.2012

217/50000

To make sense of the
Copyright Act »

The collection ended
01/23/2013 - 07/22/2013

Debt Ceiling Act »

The collection ended
01.10.2012 - 01.04.2013

ENERGY DRINKS K16 -
European Citizens' Initiative
a ban on the sale of energy
drinks in less than »

The collection ended
03.09.2012 - 03.03.2013

იდვის განხილვა სანამ ის
წინადადებად იქცევა და
დაიწყება ხელმოწერების
შეგროვება

www.avoinministerio.fi/ideat/284-energiajuomat-k16-kansalaisaloite-energiajuomien-myyntin-kieltamisesta-alle-16-vuotiaille

IDEA

LUONNOS

LAKIEHDOTUS

LAKI



Kurt Thomas Status 25.9.2012

Let's start: ENERGY DRINKS K16 -
European Citizens' Initiative a ban on the
sale of energy drinks to children under 16
years of age (Ended)

Citizens' initiative to date 3.9.2012.

The bill amending the Food Act as follows:
subsection 2. A new paragraph 8 as follows: a new 10 a § 79 and § Food Act (23/2006) is
added:

10 a § Retail Prohibitions
added sugar or other sweetening matter containing carbonated drink that contains
caffeine more than 130 mg per liter, may not be sold to a person who is sixteen years
younger.

during the last month Viewed 115 times



Share your ideas to actively move forward!
You add its weight, whether you are for or
against!

If you are supporting the bill?

Official support for electronic reporting
is not yet possible to open service of
the Ministry. We try to prepare for it as
soon as possible. Check the initiative at
the end of how you can sign a paper
support of the notification.

In the meantime, you can declare your
support for non-formal legislative



იდეის განხილვის დროს
წარმოდგენილი თანდართული
დოკუმენტაცია

www.avoinministerio.fi/ideat/284-energiajuomat-k16-kansalaisaloite-energiajuomien-myyntin-kieltamisesta-alle-16-vuotiaille

The Citizens' Initiative can be read [here](#) .

Medborgarinitiativ policy Lasas i sin Helhet [text](#) .

The initiative käynnistäjätahot Finnish Parents' Association and Förbundet Hem och Skola i Finland. Pani activities initiated by the leaders of State Kurt Thomas (tel. 0505443757) and Micaela Romantschuk-Pietilä (tel. 0503362016). The initiative is representative of Kurt Thomas and the Deputy State Representative works Micaela Romantschuk.

Finnish Parents' Association Förbundet och Hem och Skola i Finland står behind the Initiative. Verksamhetsledarna State Kurt Thomas (tel: 050-544 37 57) and Micaela Romantschuk (tel: 050-336 20 16) is initiativtagarna.

For more information www.energiajuomatK16.fi

Mera information www.energidryckerF16.fi

[Link to file description of this initiative.](#)



ხელმოწერების შეგროვების
პუნქტების ჩამონათვალი და
კომენტარების გაკეთების
შესაძლებლობა

www.avoinministerio.fi/ideat/284-energiajuomat-k16-kansalaisaloite-energiajuomien-myyynnin-kieltamisesta-alle-16-vuotiaille



[View full map](#)
[addresses of collection points](#)

EXPERT OPINIONS

No further statements

[Are you an expert](#)
[suggest experts](#)

COMMENTS

Voit kirjoittaa kommentteja kirjautumalla sisään

ADD A COMMENT



კომენტარები, რომლებიც თან
ახლავს ხელმოწერების
შეგროვების პროცესს

www.avoinministerio.fi/ideat/284-energiajuomat-k16-kansalaisaloite-energiajuomien-myyntin-kieltamisesta-alle-16-vuotiaille



RONI ANTILA



| 09/21/2013 23:01

This whole idea is so stupid that I do not understand how a grown man who cares to use their time such a thing crap



KUISMA LAPPALAINEN



| 04/08/2013 18:09

The age limit is already too much. Rather, should be removed from existing and introduce new any more.



VENLA JOKINEN



| 03/19/2013 15:18

Hear, hear.



EERO KOVANEN



| 2.3.2013 01:09

A lunatic bill just a waste of time and resources. I agree with Antti Laine problems of this Act. In this case, Denial will not work.



MO RTE



| 01/24/2013 13:45

I do not understand why one should be denied.
Then other caffeine drinks should be prohibited in order prohibition would be something algorithms, and it would only be a ban on denial of joy.
I think the ban should be based on one of the real and not just because you want to control due to kotrollin. It is unlikely to reduce mental health problems.



SARI KETOLA



| 01/20/2013 23:08

I support!



VESA SALONEN



| 01/17/2013 20:51

უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოებისთვის საკანონმდებლო წინადადებით და ინიციატივით მიმართვის უფლება ასევე დანერგულია გერმანიაში, შვედეთში, შტატებში, დიდი ბრიტანეთში და სხვა.

გერმანიის ფედერალური კონსტიტუციის მე-17 მუხლი მიუთითებს, რომ ყველას აქვს უფლება მიმართოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს კონკრეტული მიმართვით ან წერილობითი



თხოვნით. გერმანიის პარლამენტში შექმნილია კომიტეტი, რომელიც ვალდებულია განიხილოს ბუნდესტაგში შესული ყველა საკანონმდებლო წინადადება.

აშშ-ში საკანონმდებლო წინადადებაზე უფლება გამყარდა 1791 წელს პირველი საკონსტიტუციო ცვლილების შედეგად. შესაბამისად, ყველა მოქალაქეს აქვს უფლება წინადადებით მიმართოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას და მოითხოვოს კონკრეტული ქმედების შესრულება. მოქალაქის მიერ გარკვეული რაოდენობის ხელმოწერების დაგროვების შემდეგ კი, წინადადებას განიხილავს თეთრი სახლი. დიდ ბრიტანეთში, ასევე, ნებისმიერ პირს შეუძლია წინადადებით მიმართოს მთავრობას. საკანონმდებლო წინადადებას პირველ ეტაპზე (წინადადების შინაარსიდან გამომდინარე) განიხილავს შესაბამისი პასუხისმგებელი უწყება, ხოლო გარკვეული რაოდენობით ხელმოწერების დაგროვების შემდეგ საკითხზე პარლამენტში იმართება დებატები.

საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი

საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი მოქალაქეებს ანიჭებს უფლებას, რომ საკანონმდებლო წინადადებით და საკანონმდებლო ინიციატივით მიმართონ საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს. შესაბამისად, ვებგვერდზე ხელმოწერების შეგროვების პროცესი დაკავშირებულია ორ სხვადასხვა სამართლებრივ პროცედურასთან.

1) საკანონმდებლო ინიციატივა

საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის თანახმად, საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის უფლება აქვს არანაკლებ 30,000 ამომრჩეველს.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 144-ე მუხლის თანახმად, საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტმა კანონპროექტი შეიძლება წარადგინოს როგორც დამოუკიდებელი კანონპროექტის სახით, ისე კანონში ცვლილების შეტანის ან კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების სახით.

შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, არანაკლებ 30000 ამომრჩეველს შეუძლია მიმართოს საკანონმდებლო ინიციატივით საქართველოს პარლამენტს, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს ახალ კანონპროექტს, ან ცვლილება შეჰქონდეს არსებულ კანონში, ან მოითხოვდეს არსებული კანონის ძალადაკარგულად გამოცხადებას.



კანონპროექტის მომზადების ვალდებულება აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტს (საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 145-ე მუხლი).

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 145-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად,

კანონპროექტს უნდა დაერთოს განმარტებითი ბარათი, რომელშიც აისახება: ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ. მასში აღინიშნება: კანონპროექტის მიღების მიზეზი, კანონპროექტის მიზანი, კანონპროექტის ძირითადი არსი, კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება.

კანონპროექტის ფინანსურ დასაბუთებაში აღინიშნება: კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო, კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი.

ასევე, კანონპროექტის განმარტებით ბარათში აღინიშნება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან მიმართება. კერძოდ, კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან, კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან და საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან.

კანონპროექტის განმარტებით ბარათს თან ერთვის კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სადაც აღინიშნება სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში); კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ (არსებობის შემთხვევაში).

განმარტებით ბარათში აისახება კანონპროექტის ავტორი და ინიციატორი.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 145-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად,

კანონპროექტს ასევე უნდა დაერთოს: დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნა კანონპროექტთან დაკავშირებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში); შესაბამის ორგანოში კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული ლობისტის დასკვნა კანონპროექტთან დაკავშირებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).



საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 145-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად.

თუ კანონპროექტი იწვევს სხვა საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანას, მას უნდა დაერთოს შესაბამისი პროექტი ამ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ და ისინი წარდგენილი უნდა იქნეს საკანონმდებლო პაკეტის სახით. კანონპროექტს ასევე უნდა დაერთოს იმ მუხლის (მუხლების) მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც (რომლებშიც) წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება, მათ შორის, ხდება მისი (მათი) ამოღება.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 146-ე მუხლში არის გაწერილი პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილი კანონპროექტის განხილვის ეტაპები და პროცედურები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად კანონპროექტი რეგისტრაციისთვის გადაეცემა პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტს.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, საორგანიზაციო დეპარტამენტი კანონპროექტს დასკვნებისთვის გადასცემს იურიდიული კომიტეტს და საბიუჯეტო ოფისს, რომლებიც სწავლობენ კანონპროექტის სამართლებრივ და ფინანსურ მხარეებს. იურიდიული კომიტეტის და საბიუჯეტო ოფისის დასკვნებთან ერთად, საორგანიზაციო დეპარტამენტი კანონპროექტს გადასცემს საქართველოს პარლამენტის ბიუროს. თუ წარმოდგენილი კანონპროექტი არ შეესაბამება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით ზემოთ დასახელებულ მოთხოვნებს, იურიდიული კომიტეტისა და საბიუჯეტო ოფისის დასკვნების საფუძველზე საქართველოს პარლამენტის ბიურო უფლებამოსილია კანონპროექტი (ხარვეზებით) უკან დაუბრუნოს ინიციატორს.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 147-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად.

პარლამენტის ბიუროს მიერ კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კანონპროექტი განსახილველად გადაეცემა კომიტეტებს, ფრაქციებს, უმრავლესობას, უმცირესობას, პარლამენტის აპარატის იურიდიულ დეპარტამენტს, აგრეთვე საქართველოს მთავრობას, მოთხოვნის შემთხვევაში – დამოუკიდებელ პარლამენტის წევრებს, და განთავსდება პარლამენტის ვებგვერდზე.

2) საკანონმდებლო წინადადება

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 150-ე მუხლის თანახმად, საკანონმდებლო წინადადება არის საკანონმდებლო ინიციატივის უფლების არმქონე სუბიექტის მიერ პარლამენტისათვის წარდგენილი, დადგენილი წესით გაფორმებული, დასაბუთებული მიმართვა ახალი კანონის მიღების, კანონში ცვლილების შეტანის ან კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.



საკანონმდებლო წინადადების წარდგენის უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეებს, სახელმწიფო ორგანოებს (გარდა საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა), ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, კანონით დადგენილი წესით საქართველოში რეგისტრირებულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებებს და სხვა იურიდიულ პირებს.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, საკანონმდებლო წინადადება შეიძლება წარდგენილ იქნას კანონპროექტის ან/და მოსამზადებელი კანონპროექტის ძირითადი პრინციპების, ან კონკრეტული წინადადებების სახით. საკანონმდებლო წინადადება უნდა შეიცავდეს მისი საჭიროების ავტორისეულ დასაბუთებას, ავტორის ხელმოწერას და მისამართს.

წამყვანი კომიტეტის მითითებით საკანონმდებლო წინადადებას პარლამენტის ბიურო ან პარლამენტის თავმჯდომარე 5 დღის ვადაში გადასცემს კომიტეტებს, რომლებიც მას 20 დღეში განიხილავენ.

კომიტეტი საკანონმდებლო წინადადებას განიხილავს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 152-ე და 153-ე მუხლების შესაბამისად. საკომიტეტო განხილვის შედეგად საკანონმდებლო წინადადება მოტივირებული გადაწყვეტილებით შეიძლება ცნობილ იქნეს მიღებულად ან უარყოფილად.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, თუ საკანონმდებლო წინადადება წარდგენილია მოსამზადებელი კანონპროექტის ძირითადი პრინციპების ან კონკრეტული წინადადებების სახით და წამყვანმა კომიტეტმა მისაღებად ცნო იგი, კომიტეტი პარლამენტის ბიუროსთან შეთანხმებით, განსაზღვრულ ვადაში შეიმუშავებს კანონპროექტს და რეგლამენტით დადგენილი წესით გადასცემს ბიუროს. თუ საკანონმდებლო წინადადება წარდგენილია კანონპროექტის სახით და წამყვანმა კომიტეტმა მისაღებად ცნო იგი, კანონპროექტი რეგლამენტით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ვადაში გადაეცემა პარლამენტის ბიუროს.

საკანონმდებლო წინადადების მიღების შემთხვევაში საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტად ითვლება წამყვანი კომიტეტი.



საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ყველა საკანონმდებლო წინადადება წამყვანი კომიტეტის მიერ მისი მიღების შემთხვევაში იქცევა საკანონმდებლო ინიციატივად. შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივად ქცევის შემდეგ, მასზე გავრცელდება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით საკანონმდებლო ინიციატივისთვის გათვალისწინებული განხილვის საფუძვლები.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ საკანონმდებლო წინადადების და საკანონმდებლო ინიციატივის პარლამენტისთვის მიწოდების ტექნიკური საფუძვლები, რადგან რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში საქართველოს პარლამენტი დაიწყებს როგორც საკანონმდებლო ინიციატივის, ისე საკანონმდებლო წინადადების განხილვას.

ასევე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული საფუძვლები შეესაბამება ლატვიისა და ფინეთის განხილულ მაგალითებს, რადგან, ერთი მხრივ, წარმოდგენილმა ინიციატივამ უნდა დააკმაყოფილოს საკანონმდებლო ინიციატივის ფორმალური მხარეები, ხოლო, მეორე მხრივ, ხდება წარმოდგენილი ინიციატივის სამართლებრივი და ეკონომიკური მხარეების შესწავლა.

როგორც ზემოთ განხილულ მაგალითებში გამოჩნდა, მნიშვნელოვანია მთელი პროცესის გამჭვირვალობის დაცვა და მაქსიმალურად გამარტივებულ და ადვილად გასაგებ ფორმატში წარმოდგენა.

1. პარლამენტის ვებგვერდზე საკანონმდებლო წინადადების დარეგისტრირების უფლება უნდა ჰქონდეს ნებისმიერ მოქალაქეს (18 ასაკიდან) ან ორგანიზაციას.
2. პარლამენტის ვებგვერდზე მოცემული უნდა იყოს „ჩარჩო დოკუმენტი“ (აპლიკაცია), რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით კანონპროექტისთვის განსაზღვრული საკითხები.
3. ჩარჩო დოკუმენტი შესაძლებლობას უნდა აძლევდეს იდეის ავტორებს აირჩიონ ღრი მიმართულება: 1. დოკუმენტში ასახონ საკანონმდებლო წინადადების პარლამენტისთვის მიწოდების მინიმალური სტანდარტები (ძირითადი არსი, საჭიროების ავტორისეული დასაბუთება, ავტორის ხელმოწერა და მისამართი) და აპლიკაცია დაარეგისტრირონ, როგორც საკანონმდებლო წინადადება ან 2. აირჩიონ უფრო მაღალი სტანდარტების დაკმაყოფილება - შეაგროვონ 30,000 ხელმოწერა, ჩარჩო დოკუმენტს მისცენ კანონპროექტის ფორმა. იმ შემთხვევაში, თუ მოაგროვებენ 30,000 ხელმოწერას, კანონპროექტი საორგანიზაციო დეპარტამენტის მეშვეობით დარეგისტრირდება როგორც საკანონმდებლო ინიციატივა. თუ წამყვანი კომიტეტი მიიღებს საკანონმდებლო წინადადებას, იგი დარეგისტრირდება როგორც საკანონმდებლო ინიციატივა.



4. საკანონმდებლო ინიციატივის განხილვის სრული პროცესი უნდა იყოს ღია, კომიტეტების დასკვნები თან უნდა ერთოდეს ვებგვერდზე არსებულ საკანონმდებლო ინიციატივას და ინიციატივის განხილვის ყველა ეტაპის შესახებ უნდა ხდებოდეს ინფორმაციის გასაჯაროება.
5. ხელმოწერების შეგროვების დროს ხმის მიცემის უფლება უნდა ჰქონდეს საქართველოს ყველა მოქალაქეს (გარდა იურიდიულ პირებისა) 18 წლის ასაკიდან.
6. ვებგვერდზე რეგისტრაციისთვის (როგორც ხელმოწერისთვის, ისე იდეის ავტორებისთვის) საჭირო უნდა იყოს შემდეგი ინფორმაციის მითითება:
 - ✓ სახელი (სახელი, გვარი, რომელიც პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებშია მოცემული);
 - ✓ პირადი ნომერი;
 - ✓ ელ-ფოსტის მისამართი;
 - ✓ მობილური ტელეფონის ნომერი (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამუშავდება მოკლე ტექსტური შეტყობინების ფუნქცია);
 - ✓ პაროლი.

აღნიშნული ინფორმაცია იქნება კონფიდენციალური და დაცული. ინიციატივის წარმდგენის ან მხარდამჭერის ვინაობა მხოლოდ ინიციალებით დაფიქსირდება. იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქეს უკვე აქვს პროფილი სხვა სამთავრობო ვებგვერდზე ან მონაცემთა ბაზებში (მაგ. my.gov.ge, rs.ge და სხვა) მას შეუძლია გამოიყენოს არსებული პარამეტრები (შეიყვანოს იგივე მომხმარებლის სახელი და პაროლი) პარლამენტის ვებგვერდზე დასარეგისტრირებლად.
7. საკანონმდებლო წინადადება უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე.
8. საკანონმდებლო წინადადების დარეგისტრირებაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება იყოს:
 - ⊗ წინადადებები, რომელთა თემატიკაც არ განეკუთვნება საკანონმდებლო ხელისუფლების კომპეტენციას;
 - ⊗ წინადადებები, რომელთაც არ გააჩნიათ სათანადო შინაარსი ან გარკვევით და ნათლად არ გადმოსცემენ მოსაზრებას, იდეას/შემოთავაზებას;
 - ⊗ წინადადებები, რომლებიც მოიცავს შეურაცხყოფელ, უხამს, გამომწვევი შინაარსის განაცხადებს, ასევე, არის ხუმრობის მიზნით წარდგენილი;
 - ⊗ სიძულვილის, დისკრიმინაციის, ძალადობის საფრთხის, ინდივიდის ან რომელიმე ჯგუფისთვის ზიანის მომტანი მოწოდებების შემცველი წინადადებები;
 - ⊗ წინადადებები, რომლებიც კონსტიტუციური წყობის უკანონო დამხობის ან საქართველოს კანონის დაუმორჩილებლობის მოწოდებების შემცველია; და
 - ⊗ წინადადებები, რომლებიც შეიცავს პირად ინფორმაციას ან ეხება მხოლოდ ერთ კონკრეტულ პიროვნებას, პერსონალურ გარემოებას ან საკითხს.



9. იმ შემთხვევაში, თუ წინადადება შეუსაბამოდ ჩაითვლება ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, იგი არ უნდა დარეგისტრირდეს, თუმცა მაინც უნდა გამოქვეყნდეს ვებგვერდზე და მიეთითოს რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.
10. პლატფორმაზე პროფილის შექმნის შემდეგ, ნამდვილობის შემოწმებისთვის მოქალაქემ უნდა გაიაროს შემდეგი საფეხურები:
- ✚ სისტემაში შესვლისას უნდა მოხდეს მომხმარებლის პირადი ნომრის შემოწმება, მისი იდენტობის ავტომატურად გადამოწმება და ნამდვილობის დადასტურება რეალურ დროში. ამ საფეხურით ვებგვერდზე შეიქმნება მომხმარებლის პროფილი.
 - ✚ მომხმარებელმა, შემდეგ, უნდა შეიყვანოს სისტემის მიერ შემთხვევით შერჩეული სიმბოლოთა კომბინაცია, რომელიც იცავს სისტემას შემთხვევითობისგან (ე.წ. “captcha system”).
 - ✚ შემდგომში, სისტემამ უნდა გააგზავნოს შეტყობინება მომხმარებლის ელ-ფოსტაზე (ან მობილურ ტელეფონზე, სადაც უნდა გაიგზავნოს სპეციალური 6 ნიშნა კოდი), სადაც მითითებული იქნება ბმული. მომხმარებელი უნდა გადავიდეს ამ ბმულზე იმისათვის, რომ გააქტიურდეს მისი „ხელმოწერა“.
 - ✚ იმ შემთხვევაში, თუ პირი ხელს აწერს წინადადებას, სისტემამ უნდა შეადაროს მისი ელ-ფოსტის მისამართი უკვე არსებული ხელმოწერი პირების ელ-ფოსტის მისამართებს, იმისათვის, რომ გამორიცხოს ერთი პირის მიერ ხელმოწერის ორჯერ დაფიქსირება.
11. მოქალაქეს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს მხოლოდ ერთხელ დაუჭიროს მხარი ერთსა და იმავე წინადადებას (თუმცა, ამავდროულად შესაძლებელია, რომ მხარი დაუჭიროს სხვადასხვა წინადადებას).
12. წინადადების მხარდამჭერებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ მიიღონ სიახლეები ელ-ფოსტის მეშვეობით.
13. პლატფორმა ტექნიკურად უნდა გამართოს პარლამენტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა, თუმცა მოდერაციას უნდა უწევდეს საორგანიზაციო დეპარტამენტი (რისთვისაც საჭირო იქნება ცვლილება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში).
14. იურიდიულმა კომიტეტმა და საბიუჯეტო ოფისმა წარმოდგენილ წინადადებებზე უნდა მოამზადონ შენიშვნები იქამდე, სანამ აღნიშნული იქცევა საკანონმდებლო ინიციატივად ან მას წინადადების სახით განიხილავს საქართველოს პარლამენტის ბიურო (ამისათვის საჭირო იქნება ცვლილება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში).



15. ნებისმიერი, მათ შორის წერილობით შეტანილი საკანონმდებლო წინადადება უნდა აიტვირთოს ვებგვერდზე ზემოთ დასახელებული პროცედურების დაცვით.
16. ელექტრონული პლატფორმა არ უზღუდავს საქართველოს მოქალაქეს შესაძლებლობას საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი წესით შეაგროვოს 30,000 ხელმოწერა და მიმართოს საკანონმდებლო ინიციატივით საქართველოს პარლამენტს. ასეთ შემთხვევაში, საკანონმდებლო ინიციატივა ვებგვერდზე მაინც უნდა დარეგისტრირდეს, როგორც უკვე ინიცირებული დოკუმენტი, რომელიც არ საჭიროებს დამატებით ხელმოწერებს და დაცული უნდა იყოს გამჭვირვალობისა და საჯაროობის ანალოგიური სტანდარტები.
17. მე-15 და მე-16 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საბიუჯეტო ოფისი და იურიდიული კომიტეტი წინასწარ არ აწვდიან შენიშვნებს საკანონმდებლო წინადადების და საკანონმდებლო ინიციატივის ავტორებს.
18. საკანონმდებლო ინიციატივისთვის აუცილებელი ხელმოწერების შესაგროვებლად არ უნდა იყოს საჭირო რაიმე ვადის დაწესება.
19. ვებგვერდს უნდა გააჩნდეს არქივი.
20. ვებგვერდზე დარეგისტრირებული საკანონმდებლო წინადადების შემთხვევაში ხელმოწერის შეგროვება შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ ელექტრონულად.

